უნიქარდის დაბადების დღე თბილისი მოლში - აქციის პირობები

აქციის პერიოდი: 07.04.2017-დან 09.04.2017-ის ჩათვლით
აქციის შინაარსი: აქციის პერიოდში თბილისი მოლის ნებისმიერ მაღაზიაში, ყოველ დახარჯულ 10 ლარზე უნიქარდზე გროვდება1.5 ქულა (შემდგომში საბონუსე ქულა).
საბონუსე ქულის დარიცხვის სპეციფიკა:

- ✓ დღეში დაგროვებული საბონუსე ქულების მაქსიმალური მოცულობა - 75 ქულა ბარათზე;
- ✓ ბარათის მფლობელის მონაცემები უნდა იყოს რეგისტრირებული უნიქარდის სისტემაში 2017 წლის მაისის ბოლომდე;
- ✓ აქციის პერიოდში დარიცხული საბონუსე ქულების გააქტიურება მოხდება უნიქარდის ნებისმიერი პარტნიორ კომპანიაში 10 ქულის დაგროვებისთანავე *(თუ უნიქარდის ანგარიშზე დაკავშირებულია რამოდენიმე ბარათი, რომლზეც განხორციელდა აქციის საბონუსე ქულების დარიცხვა, პირობის დაკმაყოფილება შესაძლებელია ჯამურად ანგარიშზე დაგროვებული ქულების მიხედვით).*

საბონუსე ქულის დარიცხვის პროცესისის აღწერილობა:

- ✓ საბონუსე ქულის დარიცხვა მოხდება თბილისი მოლში არსებულ ნებისმიერ (მათ შორის მცირე ზომის სტენდის თუ სხვა სპეციფიური ობიექტის) მაღაზიის შენაძენზე;
- ✓ აქციის პერიოდში განხორციელებულ შენაძენზე მიღებული ჩეკის წარდგენა უნდა მოხდეს თბილისი მოლში განთავსებულ უნიქარდის მომსახურების ცენტრებში (თბილისი მოლის ცენტრალურ ფოიეში განთავსებულ უნიდესკთან);
- ✓ საბონუსე ქულის დარიცხვა შესაძლებელია როგორც არსებულ, ისე ახლად გახსნილ ბარათზე;
- ✓ ოპერატორი ამოწმებს ჩეკის ვალიდურობას - მიმდინარე თარიღი, თბილისი მოლის მისამართი (დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-16 კილომეტრი, თბილისი მოლი);
- ✓ ერთი მომხმარებლის მიერ წარდგენილი ჩეკების რაოდენობა შეზღუდული არ არის;
- ✓ თუ ბარათი რეგისტრირებულია უნიქარდის სისტემაში საბონუსე ქულების გააქტიურება მოხდება ანგარიშზე 10 ქულის დაგროვებისთანავე (საბონუსე ქულის გააქტიურება ხდება საბონუსე ქულის დაგროვების შემდეგ), პირობის შესრულების მაქსიმალური ვადაა–2017 წლის 31 მაისი, 24:00 საათი. ქულის დაგროვება უნდა მოხდეს უნიქარდის პარტიორ კომპანიებში;
- ✓ არარეგისტრირებულ ბარათზე ქულების გააქტიურება განხორციელდება, თუ 2017 წლის მაისის ბოლომდე მოხდება ბარათზე მონაცემების რეგისტრირება და დაფიქსირდება ანგარიშზე 10 ქულის დაგროვება უნიქარდის პარტნიორებთან. საბონუსე ქულები გააქტიურდება ორივე პირობის შესრულებისთანავე;
- ✓ ბარათი დარეგისტრირებულად ითვლება თუ შევსებულია: სახელი და გვარი, მობ. ტელეფონის ნომერი და დაბადების თარიღი;
- ✓ თუ ანგარიშის მფლობელი რეგისტრირებულია, ხოლო ბარათი, რომელზეც შესრულდა საბონუსე ქულის დარიცხვა არ არის რეგისტრირებული, საბონუსე ქულის დარიცხვა ვერ მოხდება;
- ✓ თუ მომხმარებელს დაერიცხა საბონუსე ქულა რამოდენიმე განსხვავებულ დღეს, პირობის დაკმაყოფილების შემდეგ გააქტიურდება მიმდინარე მომენტამდე დარიცხული ყველა საბონუსე ქულა;
- ✓ თუ მომხმარებელს გააქტიურებული საბონუსე ქულის შემდგომ კვლავ დაერიცხება საბონუსე ქულა, მისი გააქტიურებისათვის საჭიროა ხელახლა პირობის დაკმაყოფილება.